ხელშეკრულება შესყიდვების შესახებ

17.03.2014 წ

ქ. ზუგდიდი

ერთის მხრივ,სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლა წარმომადგენელი: **დირექტორი გოგი თოდუა** სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს."პლანეტა " წარმოდგენილი: ბადრი ხონელიძე სახით, მოქმედი კანონმდებლობის და საკუთარი წესდების თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან **საკანცელარიო ნივთების,სპორტული ინვენტარების,კომპიუტერული აქსესუარების შეძენა და კატრიჯის დამუხტვა**, შემდგომში „შესყიდვის ობიექტი") **შესყიდვა**, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1000 ლარს,

2. მიწოდების პირობები

2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და მიწოდების პერიოდულობის მიხედვით .

2.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია მიმწოდებლის ოფისი მდებარე მისამართზე: **ზუგდიდი გამსახურდიას გამზ. №23**

2.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი)

3. მიღება–ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

3.3 შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილი განისაზღვრება მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით.

3.4 ობიექტის მიღების ან/ და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.5 შესყიდვის ობიექტის რაოდენობის ან წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით , მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

4.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურებისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს: შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისპირობების დაცვაზე

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობრბის შესაბამისად;

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

–წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველ~~ს~~ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს მიწოდებული ობიექტის შ მოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
11.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12 დასკვნითი დებულებანი

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის ორ იდენტურ ეგზემპლარად, და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილიამხარეთა მიერ.

13. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"	მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი
სსიპ.ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოპ.რუხის სკოლა	**შ.პ.ს."პლანეტა "**
საიდენტიფიკაციო კოდი: 220373584	საიდენტიფიკაციო კოდი: 419991021
მისამართი: ზუგდიდი სოფ. რუხი	მისამართი: ზ გამსახურდიას გამზ№23
ს/ს ლიბერთი ბანკი	ს/ს ლიბერთი ბანკი
ანგ:ნომ:GE39LB0121122719449000	**ან.ნომ GE91LB0113129819469000**
ბანკის კოდი LBRTGE22	**ბანკის კოდი LBRTGE22**
ხელმოწერა	ხელმოწერა